ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5839267

ნომერი: AR1878441

თარიღი : 21.02.2022

გაცემის თარიღი : 09.03.2022

გაცნობის თარიღი : 25.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თვალჭრელის ქ. N3-ის მიმდებარედ ; ქალაქი თბილისი , ქუჩა თვალჭრელიძე , N 5 , (ნაკვ. 06/014);

დამკვეთი-განმცხადებელი

- თეიმურაზ ვედიაშვილი პ/ნ 01030002912
- თბილისი კ.ხეთაგუროვის ქ. N 40

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სამეურნეო და საწარმოო ობიექტები
  - საწყობი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

1. მიწის ნაკვეთს კვეთს წყალმომარაგების ძირითადი ქსელი (შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"), ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი, ელ. მომარაგების ძირითადი ქსელი. საჭიროა წარმოდგენილი იქნას ხაზოვანი ნაგებობების მესაკუთრეების პოზიცია სამშენებლო სამუშაოების თაობაზე.

2.....არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი : საჭიროა წარმოდგენილი იქნას არსებული სიტუაციის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა

3.....საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.: სააინფორმაციო დაფაზე დამატებით უნდა იყოს მითითებული განაცხადის განხილვის სტანდარტული ვადა, ასევე საპროექტო შენობის გაბარიტები/სართულიანობა.

4. საჭიროა წარმოდგენილი იქნას შენობის განთავსების სქემა. გაითვალისწინეთ, რომ მიწის ნაკვეთის ჩიხურ ნაწილში სიმაღლის ანგარიში უნდა მოხდეს საკადასტრო საზღვრებიდან. ასევე განთავსების სქემაზე დაიტანეთ ტერიტორიაზე შესასვლელი.
5.საჭიროა წარმოდგენილი იქნას გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.